ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3730805

ნომერი: AR1562794

თარიღი : 06.12.2017

გაცემის თარიღი : 20.12.2017

გაცნობის თარიღი : 20.12.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა , აკაკი ბელიაშვილის , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კახუაშვილი პ/ნ 01023006633
- თბილისი სანზონა კორ. 7 ბ. 4

ორგანიზაცია:
- შპს "ჩემი ოფისი" კოდი: 401997112

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 06 დეკემბრის NAR1562794 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N9–ში, 2009 წლის 04 მაისს დამტკიცებულ N346 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებას, აქტში შენიშვნის სახით დაფიქსირებული ჩანაწერის ამოღების მიზნით.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2009 წლის 04 მაისს დამტკიცებული N346 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები მომზადებულია საკურორტო–სარეკრეაციო ზონა–1 (სრზ–1)–ის პარამეტრებით და პირობებით. მოქმედი დადგენილების ფარგლებში აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 12 მ. როგორც ეს ფიქსირდება აქტში. ვინაიდან მიწის ნაკვეთზე არსებული ფუნქციური ზონა და მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სიმაღლის მაჩვენებელის ცვლილებას, სამსახური მოკლებულია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ვერ შეძლებს თქვენი 2017 წლის 06 დეკემბრის NAR1562794 განაცხადით დაფიქსირებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.